# იმერეთი

№ 9

წელიწადი მეოთხე.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

შაბათი 17 იანვარი 1915 წ.

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., შემდეგ კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.



6 იანვრიდან გამოდის ყოველდღიური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უქმეების შემდეგი დღეებისა.

**გაზეთი ღირს:**

1 წლ.—7 მ. 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მ. 10 შ., 1 თვით—4 აბ. საზღვარგარეთ—ორჯერ მეტი. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება: გამოწერის დროს 3 მ. 1 აპრილს 2 მ. და 1 ივნისს 2 მ.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი ჰ. ი. გოკიელოვისა.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:** Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენციების ავტორებს სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მისამართი: Кутаисъ, ред. „Имерети“ почт. ящ. № 39.

ს. ს. ი. გოკიელის ძ-ბის ქუთაისში

ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი

**აბრეშუმის ჭიის თესლის**

**ხ. ხრისტოდულიდის**

ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.

ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება. თ.

**ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია**

**მ. ზ. კვინიხიძის.**

**უფლებებით.**

თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშები. თ. 7.

**ქუთაისი.**

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიამ

დაბეჭდა და გამოსცა გასაყიდათ

**საქართველოს ისტორია,**

მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის. უძველესი და ძველი ისტორია საისტორიო ქარტით. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყდით 35 კაპ. საწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კითხ. გამ. საზოგად. მაღაზიაში. თ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში**

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.

გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ. თ.

**ამერიკული მწარე ვაზი (rupestris),**

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

**სტუდენტი,**

**უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი**—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისთვის. აგრეთვე უმაღლესი დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლების მასწავლებლად, „ჩინზე“ და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული, მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა. ყორყოლაძის სახლი.** 6—5.

**კბილის ექიმები.**

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა**

დროებით

ბათუმიდან გადმოვიდნენ

**ქ. ქუთაისში.**

თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6.

არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას.

აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამოდენიმე სეანსზე ახალი საშვალებით.

**საკურნალო**

**კაბინეტი ელექტრონისა და სინათლის**

**ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელის** შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6 8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ხარკოვის უნივერსიტეტის, **ვარლამ პ—ძე მოსეშვილი** 7 დეკემბრიდან ავათმყოფების მიღებას დაიწყებს (შინაგანი და ნერვებით სნეულებიანი) დილის 8—3 საათამდი, **გოსპიტლის ქუჩა, ბართლომე მოსეშვილის სახლში № 6.**

**ექიმი ი. ჩიქოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.


## აკაკის ავათმყოფობის გამო.

მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი დიდებული მგოსნის აკაკის მძიმე ავათმყოფობამ მთელ ქართველობაში მსწრაფლი შეკითხვები გამოიწვია: როგორაა ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი. ამას კითხულობენ დეპეშებით, წერილებით, მნახველების პირით, ქუჩაში და ბინებზე. კითხულობენ არა თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, შორეულ, უცხო ქვეყნებიდანაც კი. მის ოჯახში აუარებელი მნახველი დადის და ტყობულობენ ავსა და კარგს. წერილებით და დეპეშებით ხომ კიდევ მეტი ყურადღებაა მიპყრობილი პოეტის სამშობლო სოფელ საჩხერისაკენ,—მისი დიდებული შვილის ამბების შესატყობათ.

და, მართლაც, ასეთი და მეტის ყურადღების ღირსიც არის ერთი უხუცესი ბურჯთაგანი საქართველოს კულტურული დიდების, მე-60 წლების ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი, რომლის თვალწინაც გადაიარა საქართველოს თითქმის ერთი საუკუნის ბედ-იღბალმა და მისმა კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების სიავკარგემ. იგი ჩვენი ცხოვრების ბევრი სიდუხჭირის მომსწრეა, მას ბევრი რამ თავს გადახედია და უფრო მეტის პატივის ღირსია, ვინემ მას ამ უკანასკნელ ხანებში წილათ ხვდა...

გარდა ავათმყოფობისა, დღევანდელი მისდამი ყურადღება გააორკეცა. „ახ. აზრისათვის“ დეპ. აკაკი ჩხენკელის სახელით*) გაგზავნილმა დეპეშამ, რომლითაც უცნობი ავტორი აფრთხილებს ქართველ საზოგადოებას, რომ მგოსნის ხელნაწერებს და საჭირო დოკუმენტებს დროიანათ მოუარონ და უპატრონონ.

ამ დეპეშამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თფილისსა და ქუთაისში და გამგზავნს ეძებენ. წ. კ. საქართველოს უმთავრეს გამგეობას ამის გამო თავის წევრი ნინო ნაკაშიძისა გამოუგზავნია ქუთაისის განყოფილებასთან მოსალაპარაკებლათ.

გამგეობამ გუშინ რამდენიმე ინტელიგენტის თანდასწრებით მოილაპარაკა და ჯერჯერობით შემდეგ გადაწყვეტილებას დაადგა:

1. ეთხოვოს იმ პირთ, რომელთაც თვით აკაკის მიერ დავალებული აქვთ მისი ანდერძის შესრულება და მისი ყოველივე ნაწერები და საბუთები აბარიათ, რომ ეს საბუთები მტკიცეთ იქნას დაცული იმ ადგილას, სადაც იგი თვით მგოსანს აქვს მიბარებული და შენახული.

2) აირჩიეს სამი კაცისაგან (იაკობ ფანცხავა, სილოვან ხუნდაძე და გრიგოლ გველესიანი) შემდგარი კომიტეტი, რომელიც იზრუნებს ავათმყოფ მგოსნის ნივთიერ დახმარებისთვის. ამ კომიტეტმა უნდა იშუამდგომლოს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წინაშე, რომ მისცეს აკაკის მისთვის დანიშნულ პენსიიდან დარჩენილი ხვედრი ფული ამ წლისა.

3) იშუამდგომლონ თფილისის თავადაზნაურობის წინაშე, რათა იმათაც აღმოუჩინონ ავათმყოფს ნივთიერი დახმარება და ამაზე ზრუნვა თფილისში ეთხოვოს გ. გრ. დიასამიძეს, რომელიც დღეს სხვებზე უფრო დაახლოვებულია მგოსანთან.

აკაკის ავათმყოფობაზე მზრუნავ კომიტეტის სახელით დაევალა დროებით საჩხერეში მყოფს ექ. კახიანს საექიმო დახმარება გაუწიოს ავათმყოფს იქაურ ექ. ს. ჯაფარიძესთან ერთად და მისი ბიულეტენები შეატყობინონ ხოლმე ყოველ დღე ქუთაისისა და თფილისის რედაქციებს.

აკაკის ნივთიერად დახმარებისათვის, ამავე კომიტეტს მიენდო გამოსცეს მისი ახლად დაწერილი პოემა „ომი“, რომელსაც გამოსცემენ წერა-კითხვის საზოგადოების სახელით, ხოლო შემოსავალი ხარჯს გარეშე გაეგზავნება აკაკის. წიგნი დაისტამბება წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტამბაში და, უეჭველია, ყოველი წერა-კითხვის მცოდნე ქართველი სიამოვნებით შეიძენს ავათმყოფ მგოსნის ახალ პოეტურ ნაწარმოებს განზრახულ მიზნის შესასრულებლათ.

*) მან ამ დეპეშის ავტორობა მაშინვე დეპეშით უარყო იმავე გაზეთში. სჩანს, ვიღასაც შეცდომაში შეუყვანია გაზეთი „ახ. აზ.“.

## მოქალაქეთა საყურადღებოთ.

რვა იანვარს კრება მოხდა უსაჭიროესს სანოვაგეზე ფასის დამდებ კომისიისა. განიხილეს მეფქვილებისაგან შეტანილი განცხადება—ფქვილზე ნიხრის მომატების შესახებ. ამ განცხადებამ დიდი კამათი გამოიწვია.

მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ თვით მეფქვილეების ჩვენებით ამ ჟამათ ქუთაისში სამოცი ვაგონზე მეტი ფქვილია და ამოდენივე გზაზედაა წამოსული ძველ ფასებში, ფქვილების ფასების კარგათ მცოდნე პირმა, რუსეთის საზოგადოების აგენტმა, ბატონმა კოცენბოგინმა სასტიკი პროტესტი განაცხადა, მას მხარი დაუჭირეს მიხეილ ჭავჭანიძემ და ქებაძემ, მაგრამ ამათი პროტესტი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და ერთ ტომარა ფქვილზე ათი შაური მოუმატეს, ვინაიდან კომისიის წევრების უმრავლესობა თვით მეფქვილეები არიან.

ამ გვარათ, კომისიამ თავისი გაიტანა და, თუმცა ფქვილი ძველ ფასებშია ნაყიდი და გამოწერილი, მაინც ათი შაური ტომარზე მოუმატეს, ესე იგი იმ ასოც ვაგონზე, რომელიც მათ ძველ ფასებში აქვთ ნაყიდი, ჩვეულებრივ მოგებაზე მეტი ქალაქის მცხოვრებლებიდან უნდა აიღონ თორმეტი ათასი (12.000) მანეთი.

ვინაიდან მეპურეები მეტ ფასებში იყიდიან ფქვილს, ახლა ისინიც მოითხოვენ გამომცხვარი პურზე ნიხრის მომატებას, და მომხმარებელს ერთი სამათ გაუჭირდება.

რაც შეეხება შაქარს, ამ დღეს შაქარსაც „რიგიანი და პირიანი ფასები დაადევს“ —გირვანქა 19 ½ კ. როდესაც შეიძლებოდა 18 ½ კ. დაედვათ.

როგორც სჩანს, ვაჭრებს ნამდვილი „ბენეფისი“ დაუდგათ.

მოიმატა სხვა საქონლის ფასებმაც, თუთუნი, წუმწუბა და სხვა. არ დარჩენილა ისეთი საქონელი, რომელსაც ფასი 20—50% არ მომატებოდეს, თანაც ვაჭრობა სწარმოებს ნაღდზე და აშკარათ, მოურიდებლათ. იტანჯება ის საწყალი ხალხი, რომლის შვილები და ძმებიც ბრძოლის ველზე ტყვიას გულს უშვერენ.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის უნებლიეთი შეცდომა, რომ კომისიაში უმრავლესობა დაინტერესებული პირები არიან და ნიხრის საკითხიც ხმის უმეტესობით სწყდება. ქალაქის თავი წინააღმდეგი იყო ნიხრის მომატებისა, მაგრამ ხმის უმეტესობამ აჯობა.

არშეგვიძლია აგრეთვე არ ვუსაყვედუროთ ქუთაისის პრესასაც. ბატონებო, მარტო ის კი არ კმარა, რომ გაზეთებში ფილოსოფიური საკითხები არჩიოთ! ახლა ფილოსოფია გვერდზე დროებით გადასდეთ და გაიგეთ, თქვე დალოცვილებო, რომ დღეს ომია, ომი, რომლის მსგავსიც ისტორიას არ ახსოვს. შეეხეთ დღიურ საკითხებს, მიხედეთ გაჭირვებულ ხალხს. არ მახსოვს, რომ პრესის რიგიანი წარმომადგენელი დასწრებოდეს კომისიის კრებას და თავის შთაბეჭდილებანი გაზეთის ფურცლებზე აღენიშნოს. *) იმედია,

*) ვიღებთ-რა სახელმძღვანელოთ ამ შენიშვნას, არ შეგვიძლია არა ვსთქვათ, რომ პრესა და მისი წარმომადგენლები გულთმისნები როდი არიან! ყოველი საზოგადო დაწესებულება ან კერძო მეთაოსნე მოვალეა შეატყობინოს ხოლმე რედაქციებს: სად და ან როდის აქვს კრება ამა თუ იმ საკითხის გამოსარკვევათ, რომ რედაქციამ თავისი წარმომადგენელიც გაგზავნოს. დამალულათა და დაფარულათ ნაკეთებ საქმეს პრესა შემთხვევით თუ გაიგებს ხოლმე, თორემ მას არავინ არას ატყობინებს!.. ამ შემთხვევაში დიდათ მაზარალებელია ის „ჯგუფობანა“ და შენჩემობა, რომელიც ბოლოს უღებს ყოველივე საზოგადო საქმეს. იმისთანა საერო თათბირიც კი, როგორიც არის თათბირი აკაკის ავათმყოფობის შესახებ—ჩვენის რედაქციისათვის არ უცნობებიათ, რომ თავისი სიტყვა ამასაც ეთქვა.

რედ.

პრესა შემდეგში მაინც მიაქცევს ყურადღებას სადღეისო საკითხებს, და აგრეთვე ქუთაისის ინტელიგენციაც მოახდენდეს კრებას, აირჩევდეს კომისიას უსაჭიროეს სანოვაგეზე ფასების დასადებათ და წარუდგენდეს დასამტკიცებლათ ქალაქის გამგეობას.

ურიგო არ იქნება თვით მოქალაქეებმაც ხმა ამოიღონ და თავის თავს თვითონვე უპატრონონ. ხვ—ი.

# ევროპის ომი.

## პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.

### რუსეთ გერმანიის ასპარეზი.

ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. აღმოსავლეთ პრუსიაში 13 იანვრის განმავლობაში ბრძოლა გრძელდებოდა მალვიშკენ-ლაზდენენის რაიონში. ქვედა ვისლის მარჯვენა მხარეზე უწინდებურათ ხდებოდა სროლა და მოწინავე ნაწილთა შეტაკება, რომლის დროსაც მდინარიდან დაწყებული დაბა სკემპნემდი, გერმანელების რამდენიმე ბატალიონი გავდევნეთ ვისლის მარცხენა მხარეზე 13 იანვ. ღამეს შესანიშნავი არა მომხდარა რა. მხოლოდ გერმანელები ხელახლა შეეცადენ იერიშების მოტანას, მაგრამ ჩვენგან დაკავებული პოზიციების წყალობით, ბორჟიმოვის რაიონში მტრის ყველა ცდა უნაყოფოთ დარჩა. კამიონისა და გრანსკის რაიონში იყო შემთხვევა, როდესაც მტერი შემოიჭრა ჩვენს თხრილებში, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ იგი უკუაქცია.

გალიციაში ბრძოლა სწარმოებდა. დუკლინიდან ვიშკოვსკის გასავლამდი, ამ ფრონტზე ჩვენ წამოვიყვანეთ 100 ტყვე ავსტრიელი და 2 ტყვის მტყორცნელი. საარტილერიო ბრძოლა კიდევ გრძელდება.

**პეტროგრადი** „სამხედრო უწყების“ ცნობით, 14 იანვარს, მტრის პოზიციებზე სროლის დროს, სოფ. მისტერჟვიზის რაიონში, ვიშეგრადიდან 10 ვერ. მანძილზე სამხრეთით ცეცხლი გაუჩნდა ერთ სახლს, რომელიც სოფლის შორიახლოს იდგა. ამ დროს მოისმა აფეთქების ხმა. როგორც სჩანს ამ სახლში შენახული უნდა ყოფილიყოს მტრის ყუმბარები და სხვა სამხედრო მასალა. ეს შემთხვევა პირველი არ არის, რომ ჩვენი არტილერიის ცეცხლი მათ სამხედრო მასალას ანადგურებს. მათ პოზიციებზე ჩვენი მამაცი მზვერავები განაგრძობენ ფრიად სასარგებლო მუშაობას.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** ოფიციალური ცნობა. 14 იანვარს ღამით მტერს უნდოდა მოულოდნელათ იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. სენმერის ტყეში ძლიერი თოფის სროლას შემდეგ მტერმა ისროლა ყუმბარები, რამაც ჩვენი თხრილები მიგვატოვებია, მაგრამ შემდეგ, ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა მტერი უკუ აქცია და ხელახლა დავიკავეთ დატოვებული პოზიციები. 12 იანვრიდან დაწყებულმა ბრძოლებმა ასე ჩაიარა: საშინელი და დიდი ხნის სროლის შემდეგ ზარბაზნებიდან და ყუმბარებით, მტერმა იერიში მოიტანა გეტბივზე და ფულონის ტყეზე, მაგრამ უკუქცეულ იქნა დიდი ზარალით. ყველგან, გარდა ლაკრეტისა, უკან დავიბრუნეთ დატოვებული პოზიციები. მხოლოდ ლაკრეტში, იმყოფება ძველი ქვის სამტვრევი, რომელიც ჩვენ საწყობათ გვქონდა გადაქცეული. ეს სამტვრევი ჩამონგრეულ იქნა მტრის დიდი ზარბაზნების ყუმბარებით. ამნაირათ მოგვაკლდა საშუალება მტრისთვის ცოტა ხნით პასუხი გაგვეცა. მტერი კი დამკვიდრებული ფულონის ტყეში, თავისუფლათ გვესროდა. ამიტომ იძულებული ვიყავით ჩვენი თხრილები მიგვეტოვებია. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლაში ჩვენმა მხედრობამ დიდი გმირობა გამოიჩინა, რომელი გმირობაც ყოველნაირ ალტაცებას აღემატება. მტერმა აქ დიდი ზარალი ნახა. ბრძოლის ველზე მან 1000 მოკლული ჯარისკაცი დასტოვა. ტყვეები სხვადასხვა პოლკს ეკუთნიან, რაც იმის ნიშანია, რომ მათ ამ ბრძოლაში დიდი ჯარი ჰყავდათ. სენტიუზერის რაიონში მტრის იერიში მისთვის საზარალოთ გათავდა. დღის განმავლობაში მტერმა სამი იერიში მოიტანა ჩვენს ჯარზე, მაგრამ ყველა მოგერებულ იქნა. ელზასში მყუდროობაა. დანარჩენ ასპარეზებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** გავასის სააგენტო იტყობინება, რომ იპრის და ნიუპორის რაიონში საარტილერიო ბრძოლა ხდებოდა. ჩამოგდებულ იქნა გერმანელების აეროპლანი, რომელიც დაეცა ბელგიელების ხაზის რაიონში. ტყვეების ჩვენებით, მტკიცდება, რომ ჩვენ თხრილებზე გერმანელებმა 12 იანვარს, იპრის აღმოსავლეთით სასტიკი იერიში მოიტანეს, ამ იერიშში მონაწილეობას იღებდა მთელი ბრიგადა. ამ შეტაკების დროს მტრის ზარალი მთელნახევარ ბატალიონს აღემატება. მტკიცდება, რომ ლაბუასსეს ახლოს, ჟუვანშსა და გენტში გერმანელებმა სასტიკი ზარალი ნახეს. მარტო ლაბუასეს გზაზე მათ 400 მოკლული ჯარისკაცი და ექვსი აფიცერი დასტოვეს. ასე რომ მთელს ამ რაიონში დანაკარგი უკანასკნელ დღეებში უდრის ორ ბატალიონს. ლაისისა და სუასონის რაიონში ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი თხრილები. პერტის რაიონში, მტერმა ჩვენ თხრილებზე მოიტანა ოთხი სასტიკი იერიში, რომლებიც ჩვენგან მოგერებული იქნა ხიშტებით. სენმიელთან დავანგრიეთ მაასზე მტრისგან გადებული ხიდები. ლოტარინგიასა და ვოგეზში დღემ წყნარათ ჩაიარა.

### რუსეთ—ოსმალეთის ასპარეზი.

კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ჭოროხის მხარეზე, სულთან სელიმის რაიონში, ოსმალებმა, 12 იანვარს, დილიდან მოიტანეს რამდენიმე ენერგიული იერიში, რომელიც ჩვენგან მოგერებულ იქნა. ოლთისის მხარეზე ოსმალები, როგორც წასულ დღეებში, აწარმოებენ თავდასხმას, მათ წინ წამოაყენეს გარს შემოსავლელი ერთი კოლონა, რომელიც ჩვენგან დიდის დანაკლისით უკუგდებულ იქნა. ადერბეჯანში მტრის მოქმედება გართულდა იმის გამო, რომ ქურთთა მრავალრიცხოვანი ბრბო, ოსმალების რეგულიარულ ჯარების დახმარებით, სცდილობდა იერიშები მოეტანათ ხოის რაიონში ჩვენზე, მაგრამ იგინი ჩვენგან გაფანტულ იქნენ. დანარჩენ ფრონტებზე 13 იანვარს მხოლოდ თოფით სროლა სწარმოებდა.

### ინგლის—ოსმალეთის ასპარეზი.

რეიტერის სააგენტოს კაირიდან დეპეშით ატყობინებენ. კაშაურთან ჩვენს პატრულებსა და ოსმალების რაზმს ბრძოლა მოუხდათ. ოსმალებმა სროლა გააჩაღეს შორის მანძილიდან. პატრულები მათ ტყვიის მტყორცნელებითა და თოფით უპასუხებდნენ. ოსმალებმა არ ისურვეს ჩვენს პატრულებს მოახლოვებოდნენ. ოსმალების სამი ასეთი რაზმი შემჩნეული იყო არხის აღმოსავლეთით, მაგრამ არც ისინი მოახლოვებიან ჩვენ ჯარს. ბირმურხის ახლოს, დადასთან ჩვენმა გიდროპლანმა, ყუმბარები დაუშინა ოსმალთა ერთ კოლონნას და დიდი ზარალი მიაყენა მას.

**ლონდონი.** ეგვიპტედან იტყობინებიან, რომ კანტორის აღმოსავლეთით, 13 იანვარს გახდა შეიარაღებული შეტაკება. ჩვენ დაგვიჭრეს: ერთი აფიცერი და 4 ჯარისკაცი. მტერმა კი, როგორც სჩანს, დიდი ზარალი ნახა.

### ზღვაზე მომხდარ ბრძოლის დაწვრილებითი ცნობა.

**ლონდონი.** ბეჭვდითი ბიურომ გამოაქვეყნა ცნობები ადმირალ ბიტტისა, ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ ბრძოლის შესახებ: დილის $7^1/_2$ ს. ჩვენმა ნაღმოსნებმა შეამჩნიეს მტერი 14 მილის სიშორეზე. ნაღმოსნებს საჩქაროთ ებრძანა მტერს გამოკიდებოდენ, რომელთაც, როგორც ეტყობოდა, უკვე უკან გაბრუნდა. ჩვენი კრეისერები კი სრული სიჩქარით გაეშურენ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, რომ მტრისთვის გზა გადაეჭრა. ინგლისის ესკადრამ 28—29 ნასკვის სიჩქარით მიდიოდა და 18 ათასი იარდის სიშორიდან მან მიზანში ამოიღო მტრის ესკადრა. მტერი ისროდა 17 ათასი იარდის სიშორიდან. ინგლისის ესკადრის სათავეში იდგა „ლაიონი“ და ტაიგრი“, რომლებსაც რამდენიმე ხნის განმავლობაში უნდა აეტანათ მტრის საშინელი სროლა, ამსროლით ყველაზე მეტათ დაზიანდა „ლაიონი“. როდესაც ინგლისის სხვა გემებისა მოვიდენ, ბრძოლაში მათაც მიიღეს მონაწილეობა, მტრის სროლა ინგლისის გემებმა მოიგერიეს დილის 11 საათზე. მტრის ყუმბარით დაზიანდა „ლაიონის“ ერთი ქვაბი, რომელმაც გამოიწვია შეჩერება მარჯვენა მანქანის. ამ დროს ინგლისის ესკადრის მარჯვნით შემჩნეულ იქნა მტრის წყალქვეშა ნავი. ინგლისის გემებმა საშიშროების თავიდან ასაცილებლათ კურსი შესცვალეს, ამ დროს გერმანიის კრეისერი „ბლიუხერ“-ი უკვე კრიტიკულ მდგომარეობაში იყო. კრეისერ „ინდომიტებლ“-ს ებრძანა, ბოლო მოეღო მისთვის. ჩვენი ესკადრის დანარჩენმა ნაწილმა იერიში მიიტანა მტერზე ზურგიდან. კრეისერმა „ლაიონმა“ რამდენიმე გემების თანხლებით კურსი აიღო ჩრდილო დასავლეთისკენ. ადმირალმა ბიტტიმ თავის ბაირაღი „ლაიონიდან კრეისერ „პრინცესა როიალ“-ზე გადაიტანა. ინგლისის ესკადრას გერმანიის წყალ-ქვეშა ნავმა ხელი შეუშალა რომ უფრო უკეთ გაემარჯვნა მტერზე; ბრძოლის შედეგი ასეთია: „ბლიუხერი“ ჩაიძირა და გერმანიის ორი კიდევ სხვა კრეისერი ცეცხლის ალში გახვეული წავიდენ. გერმანელი ტყვე მატროსები ამბობენ: ცოტა გვიან კიდევ დაიძირა მტრის კრეისერი „კოლბერხი“-ო ინგლისის კრეისერების „ლაიონის“ და „ტაიგერის“ ზიანი უმნიშვნელოა და მოკლე დროში შეკეთდებიან. საერთოდ, ინგლისის ესკადრამ ბრძოლიდან თუ ამ უმნიშვნელო ზიანს არ ჩავსთვლით, უნაკლულოთ გამოვიდა.



მგოსნის ავათმყოფობის გამო.

# სხვა და სხვა ამბები.

**პეტროგრადი.** იმ იერიშის შესახებ, რომელიც გერმანიის კრეისერმა „გაზელზე“ მიიტანა წყალქვეშა ნავმა, სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ იმ დღეს ზღვაში რუსეთის წყალქვეშა ნავები იყვენო.

გერმანელები კვლავ მუხანათურათ სარგებლობენ თეთრის ბაირაღით, რომ ჩვენი ჯარები მოატყუონ და თავისკენ მიიახლოვონ, მაგრამ ბოლო დროს მათ ველარ შესძლეს ჩვენი ჯარების მოტყუება.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო იუწყება, ყველა უაჭიროესი საბუთი, რომელიც ეხება რუმინიის ხუთ მილიონ გირვანქა სტერლინგის სესხს ინგლისის ბანკებიდან, ხელმოწერილია. ამ სესხის გარანტიას რუმინიის ხაზინამ უნდა აგოს პასუხი.

**სალონიკი.** ოსმალებისაგან პალესტინიდან გამოძევებული 160 რუსი ებრაელი, რომლებიც საბერძნეთის გემით ალექსანდრიაში მოვიდენ, ნიშით რუსეთს გაემგზავრენ.

**ლონდონი.** მეფემ მიიღო რუსეთის მისია თავად იუსუპოვის მეთაურობით. მისიას თან ახლდა რუსეთის ელჩი.

**ბუქარესტი.** მეფეს გუშინ ხანგრძლივი თათბირი ქონდა გენერალურ შტაბის უფროსთან.

**ოდესა.** დაატუსაღეს თ. თუმანოვის სახელით მცხოვრები, რომელსაც ღირსება ახლილი ჰქონია, თ. წერეთელი-ერისთავი. იგი წინათ ვარშავაში ცხოვრობდა სპარსეთის პრინცის სახელით. მას ბრალდება პეტროგრადის ბანკებიდან ყალბი საბუთებით ნახევარ მილიონის გატანა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

ამ დღეებში რუსეთში მოვლიან გერმანიიდან, ომის გამოცხადებამდის დატყვევებულ 9 მთავარ პირს, რომლებიც 5 იანვარს გაანთავისუფლეს. მათ შორის არიან ასტრახანის გუბერნატორი სოკოლოვსკი, პროფ. ხარკოვის უნივერსიტეტისა შმიდტი და სხვ.

რამდენიმე დღის შემდეგ ბერლინიდან 9 პირს კიდევ გამოუშვებენ და შემდეგ მესამე ჯგუფს, მეორე რიგს ეკუთნის ადმირალი სკრიდლოვიც.

რაც შეეხება მთავარ პირთა ჯგუფს, რომელსაც ვარშავის გუბერნატორი ბარონ კორფი ეკუთნის, ჯერ ისევ დარჩება. მოლაპარაკება რუსეთსა და გერმანიას შორის ამ ჯგუფის განთავისუფლების შესახებ ჯერჯერობით უშედეგოთ დარჩა.

ავსტრია ზემოთ აღნიშნულ ჯგუფების განთავისუფლებას არ სთანხმდება. პროფ. მ. მ. კოვალევსკის ჯერჯერობით არ გაანთავისუფლებენ.

—

ჩინეთის მთავრობამ იაპონიას შანდუნში სამხედრო ზონის გაუქმება მოსთხოვა. ამ მოთხოვნაზე იაპონიამ უარი უთხრა, რადგანაც გერმანიასთან ომი ჯერ არ დასრულებულა.

—

შანდუნიდან იაპონიის ჯარის გაყვანის შესახებ გამწვავებული საკითხის გამო, იაპონიის ელჩმა პეკინში ჩინეთის მთავრობასთან მოლაპარაკება გამართა იაპონიასა და ჩინეთს შორის კეთილ განწყობილებათა მოსაგვარებლათ.

—

სტორტინგმა დაავალა თავჯდომარეს, ნორვეგიის სახელით იტალიის პალატას თანაგრძნობა გამოუცხადოს იმ უბედურობის გამო, რომელიც იტალიას ეწვია.

### შვეიცარიის ნეიტრალიტეტი.

პარიზის გაზეთ „პტიტ პარიზიენის“ თანამშრომელთან საუბრის დროს შვეიცარიის კავშირის საბჭოს წევრმა გოფმანმა სთქვა:

„საფრანგეთში დარწმუნდენ, რომ ბაზელის პოლიცია სიამოვნებით ანდობს თავის საქმეებს გერმანიის პოლიციას და ნებას აძლევს უცხოელთ თვალყური ადევნოს. მე თქვენ გთხოვთ მტკიცეთ გამოუცხადოთ, რომ არც ბაზელის პოლიცია, არც საზოგადოთ შვეიცარიის პოლიცია ოდნავათაც არ მოითმენს ჩვენს საქმეში გერმანიის პოლიციის ჩარევას. ამასვე ვაცხადებ საფრანგეთის პოლიციის შესახებ. თუმცა წინათ ცოტა რამ უხერხულობა იყო დაშვებული, მაგრამ შემდეგში აღარ გამეორდება. გეოგრაფიულმა მდგომარეობამ ბაზელი საერთაშორისო ჯაშუშების ბუდეთ აქცია. სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ ბაზელში ყველა ჯაშუში გონიათ. აქამდი ჩვენი სისხლის სამართლის დებულებით შვეიცარიის წინააღმდეგ ჯაშუშობისათვის ვსჯიდით. ამიერიდან შესაძლო გახდა ჯაშუშების ციხეში დაპატიმრება სხვა შემთხვევებშიაც. დაბოლოს მე პროტესტს ვაცხადებ ცილისწამების წინააღმდეგ, ვითომ ბაზელის პოლიცია გერმანიის პოლიციას თანამშრომლობასა ც ხელს უწყობდეს“.

—

ბერლინის „ვორვარტსიმ“ შეგვატყობინა, რომ პოლონეთის რადიკალ დეპუტატი ტრომპჩინსკი პრუსიის ლანდტაგის გახსნის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრთან საუბრობდა და უჩვენა, რომ ლანდტაგის სხდომაზე პოლონეთის საკითხზე დებატები გაიმართებაო.

ამის გამო სილეზიის პოლონური გაზეთი „კატოლიკი“ პოლონელებს ურჩევს ლანდტაგის საერთო სხდომაზე ლანდტაგის დანარჩენ პარტიების დადგენილებას მიემხრონ და დახურულ სხდომებზე რაც შეიძლება თამამათ გამოსთქვან თავისი აზრი.

—

ბელგიის ლიმბურგის კომუნალურ ყველა დაწესებულებაში გერმანიის მთავრობის განცხადებაა გაკრული, რომ ბელგიის მთავრობისაგან გავრში გამოცემული ყველა კანონი და დეკრეტი, დამტკიცებული ალბერტის მიერ, ჩაითვლება არაკანონიერათ.

—

გაზეთი „რომანული“, რომელიც ტრანსილვანიაში გამოდის, გვატყობინებს ვითომდა ძალიან საბუთიან ცნობას, რომ ბურიანი—გარეშე საქმეთა მინისტრად დროებით იყოს დანიშნული, რომელსაც მალე ტისსა გამოსცვლისო. უნგრეთის ცენზურამ ნება დართო დაებეჭდათ ეს ცნობა.

—

მემკვიდრე ჰერცგერცოგი კარლი ბერლინში მოვიდა და სასტუმრო „ადლონში“ დადგა, თუმცა სასახლეში მისთვის მოსასვენებელი ოთახები მომზადებული იყო. ამ ამბავმა ყველა გააკვირა. ჰერცგერცოგის ამალაში თ-დი ლობკოვიცაც არის, რომლის ყოფნასაც პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ, რადგანაც თ-დი ფრანც-იოსების საყვარელ მეგობრათ ითვლება და მასზე დიდი გავლენაც აქვს.

—

ჰააგიდან კოპენჰაგენში ატყობინებენ, რომ ჰოლანდიის მთავრობა სამხედრო მზადებაშიაო.

—

გერმანიის მცხოვრებლებს შიმშილისა ეშინიათ. პურის ნაკლებობა თანდათან საგრძნობი ხდება.

—

ირკვევა, რომ სახელმწიფო სათათბიროს 27 და 28 იანვარს სხდომა ექნება, უკანასკნელ შემთხვევაში-კი 30 იანვარს.

—

ინგლისზე ცეპელინების თავდასხმის დროს, მოკლულია ორი დედაკაცი, 72 წლის ბერი კაცი და 17 წლის ჭაბუკი. „ტიმესი“ ამის შესახებ ამბობს, რომ ცეპელინებმა საცდელი ფრენა მოახდინეს, რომელსაც შინაური ადგილების დათვალიერება ჰქონდა მიზნათო. ადგილობრივ მცხოვრებლებს ურჩევს შემდეგისთვის ფრთხილათ იყვენ.

—

გერმანიის წყალქვეშა ნავმა ბრიტანიის ორთქლმავალი „დურვარდი“ ჩაძირა, დაახლოვებით 20 კილომ. მანძილზე მაასის ყურიდან. კომანდა მცურავი მაიაკით გადარჩა.

—

ორშოვაში ავსტრიელები და გერმანელები სერბიაში შესაჭრელათ ემზადებიან. გერმანელ ავიატორების მთელი რიგი ცეპელინებით მოვიდა.

ავსტრიელების იერიში სერბიაზე სტრატეგიული მოსაზრებით 10 დღით არის გადადებული.

მოსკოვის ნაფიც ვექილთა შორის აღიძრა საკითხი იმ გერმანელების დაცვის შესახებ, რომელთაც გერმანიის ფლოტის სასარგებლოთ ფულის მოგროვება ბრალდებათ.

ახლო მომავალში იტალიასა, რუმინიასა და ავსტრიის შორის განწყობილება გამოირკვევა.

ბუქარესტში მყოფმა გერმანიის ელჩმა მოითხოვა აეხსნათ მისთვის რუმინიაში მობილიზაციისა და ტრანსილვანიაში რუმინიელთა პროპაგანდის მნიშვნელობა, რომელშიც იგი გერმანიისა და ავსტრიის საწინააღმდეგო მოქმედებას ხედავს.

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ ვენის ცნობებით, უკანასკნელ დროს ავსტრიის გზებით გადაყვანილია 600,000 ავსტრიელი და გერმანელი ჯარის-კაცი, სერბიაში შესაჭრელათ.

# ქართულ მწერლობიდან მოკლე სიტყვა დიდ საქმეებზე.

ჩვენი ნასწავლი წრეების ერთს დიდს ნაწილში გავრცელებულია უმსგავსო წარმოდგენა, ვითომ რუსეთთან შეერთებამდი საქართველო ველურს ქვეყანას წარმოადგენდა და მისი კულტურა, რუსეთთან შედარებით, მეტად დაბალ საფეხურზე იყო გაჩერებულიო.

ასეთი წარმოდგენა გახლავთ მწარე ნაყოფი თავისის ქვეყნის და ისტორიის უმეცრებისა. ამ უკუღმართ წარმოდგენის გასაფანტავად ვრცელი მეცნიერული მტკიცეთ დასაბუთებული წიგნი დაიწერებოდა, მაგრამ ჩვენ პატარა წერილებითაც იმედი გვაქვს ეს დიდი გოლიათი სიცრუვისა დავამხოთ და გავფანტოთ. ჩვენ დავასახელებთ მარტო იმ ქართველ მწერლებს, რომელნიც შემთხვევით მოჰყვნ

...ქსეთში XVII—XVIII საუკ. შესადარებლათ იმ დროინდელი რუსის მწერლებთან.

როდესაც 1656 წელს რუსეთს ესტუმრა კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი, მთელს რუსეთში ამ მეფისთანა განათლებული არ მოიპოვებოდა. იმისი მომსგავსოც კი არ იშოვებოდა. ვისაც წაუკითხავს თეიმურაზ I-ის ენა-წყლიანი აუარებელი ლექსები, აზრებით და წმიდა გრძნობით სავსენი, დარწმუნებით იტყვის, რომ ამისი მსგავსი ნაწარმოები იმ დროს, იმ წყვდიადით მოცულ საუკუნეში, არ მოიძებნებოდა არა თუ რუსეთში (სადაც იმ დროს სულაც არ იყვნენ საერო მწერლები), არამედ სხვა მეზობელ სახელმწიფოებშიც.

1666 წლის რუსის ეკლესიის კრებას დაესწრო ქართველი მღვდელმთავარი იოსებ სააკაძე, ცნობილი მწერალი, ავქსონი „დიდ მოურავიანისა“. ვისაც ეს ისტორიული პოემა შეუსწავლია, უსათუოდ დამეთანხმება, რომ მისი დამწერი ღრმად განათლებული პირია იმ დროისთვის, მისი ლექსი ბრწყინვალე და წარმტაცია, ენა მდაბიო, დღესაც უფრო გასაგები ხალხისთვის, ვიდრე ზოგიერთის დღევანდელის გაზეთებისა. ამასთან წმიდა გრძნობა, ღრმა აზრები, უტყუარი მოთხრობა ისტორიისა, თავაზიანი კილო შეზავებული ზნეობრივი აზრებით. დღესაც ეს თხზულება სიამოვნებით იკითხება. მე-XVII საუკუნეში ერთი მწერალიც არ ჰყოლიათ განვითარებით ამისი მომსგავსოც კი რუსეთში; ამ საუკუნეში საერო პოეზიას თითქმის სულ არ ჰყავდა წარმომადგენელი რუსის მწერლობაში, ქართული საერო მწერლობა კი აღორძინებული იყო და გაფურჩქვნილი.

მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს პოლიტიკურმა ქარტეხილმა რუსეთში გადააგდო იმერეთის მეფედ ყოფილი არჩილი. მისი ვეებერთელა ნაშრომი „ბოლაზი“ მართლა ბოლაზია ანუ უთვალავი სიმდიდრე სიტყვა-კაზმული მწერლობისა თავისის ენამზეობით, მრავალ-ფეროვანობით, გრძნობა-გონება მახვილობით: ეს თხზულება გონებას სძენს ღიდძალს ცოდნას, გულს აბრწყინებს, აახლებს, აძგერებს აღმაფრენით, გრძნობებსაც აკეთილშობილებს, სიყვარულის სხივით ათბობს, ენასაც ამეტყველებს, ქართული ენის ძლიერებას ასწავლის.

რა თქმა უნდა, მთელს რუსეთში ამას იმ დროს ტოლი არ ჰყავდა არა თუ მგოსნობით, არამედ მაღალ-კულტურულ ცხოვრებით, ზრდილობით, რაინდობით, „კაცურ-კაცობით“. ღმერთმა ქნას, რომ ერთ-ერთმა ჩვენმა ნიჭიერმა ნასწავლმა პირმა ხელი მოჰკიდოს ამ თხზულების კვლევას და გაანათოს მისის ავქსონის პიროვნება და თვით მისი ეპოქაც დაგვისურათ-ხატოს.

არჩილ მეფე მოკვდა მეთვრამეტე საუკუნის დამწყებს (1712 წ.), მაგრამ მის ოჯახში დაბუდებული იყო ბევრი სხვა მწერლები, მეფის მხლებლები. თითოეული ამ მხლებელთაგანი მაშინდელ შავბნელ რუსეთის სამწერლობო ცაზე ისე ბრწყინავდენ, როგორც ვარსკვლავები, იმდენად მაღლა იდგა იმ დროინდელი ქართული მწერლობა რუსეთისაზე.

რომ სიტყვა მეტად არ გაგრძელდეს და მკითხველი არ დავღალოთ, მარტო ერთს მწერალს მოვიხსენებ არჩილ მეფის მხლებელთაგან—საბა სულხან ორბელიანს. ამისი უთვალავ ნაწერებისაგან ჩვენი მკვლევრები იცნობენ მარტო ლექსიკონს და „სიბრძნე სიცრუეს“. მაგრამ ეს უკანასკნელი საბას ნაწერებიც მკვლევარს საკმაო საბუთს აძლევს დაასკვნას, რომ არა თუ მისი ბადალი, არამედ მისი ნასახიც არ მოიპოებოდა მთელ რუსეთის საერო მწერლობაში მეცხრამეტე საუკუნემდი.

(შემდეგი იქნება).

# ახალი ამბავი.

✦ ქუთაისის ქალაქის მოურავს ი. მ. ჩიქოვანს თფილისის ქალაქის ინჟინერმა გ. ქურდიანმა დეპეშით აცნობა, რომ იგი ქუთაისში ყველიერამდი ვერ ჩამოვა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა პ. ი. მოსიძე ქალაქის გამგეობის წევრათ უკვე დაამტკიცა.

✦ პარასკევს, 15 იანვარს, ქუთაისში გოგებაშვილის ქუჩაზე გულის სიგანივრისაგან უეცრათ გარდაიცვალა ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი—ლიაპინი.

✦ მსახიობი ვასო აბაშიძე ქუთაისში ერთ კვირას დარჩება და რამდენიმე წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს.

✦ გუშინ ქუთაისში, ქართული „დრუჟინის“ საჭიროებისათვის, ცხენებს მობილიზაცია მოახდინეს.

✦ 14 იანვარს დ. ჩოხატაურში ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა გამართეს საღამო. წარმოდგენილ იქნა ისტორიული პიესა „ორი გმირი“. წარმოდგენის შემდეგ გამართულ იქნა დივერტისმენტი

✦ ქუთაისის მაზრის სამხედრო სამართველოს თავჯდომარე თავ. გ. ერისთავი აცხადებს, რომ ახლად გასაწვევ ჯარისკაცებს, რომელნიც თავის ტანისამოსს მიიტანს, შემდეგი ფასი მიეცემათ: წყვილ ჩექმაში 7 მ. და 10 შაური; პერანგში—3 აბაზი; პირსახოცში – 1 აბაზი; ცხვირსახოცში—9 კაპ.; ყაბალახში—18 შაური; ხელთათმანებში—7 შაური; მაუდის შალვარში—12 აბაზი; მოკლე პალტოში 7 მ. და 10 შ; თბილ პერანგში—1 მ. და 10 შ. და შალის წინდებში — 7 შაური.

✦ როგორც გურიიდან გვწერენ, ერთ თვეზე მეტია, რაც იქ ძალიან თბილი ამინდებია. ასეთი ამინდების გამო გავრცელებულა სხვადასხვა ავათმყოფობა.

✦ დღეს, ქალაქის თეატრში დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება სამ მოქმ. კომედია „პედაგოგები ანუ აღმზრდელი ფლაქსმანი“, ოტტო ერნსტისა და „არივ დარია“, ვოდევილი 1 მოქმედებათ ვ. გუნიასი.

✦ დრამატიული დასის მიერ წარმოსადგენათ მზადდება „ხანუმა“, „გაცრუებული იმედები“, „მსხვერპლი“ და სხვა.

✦ 7 იანვარს, ს. ლესაში (ოზურგეთის მაზრა) რამდენიმე ყაჩაღს სოფლელებთან შეტაკება მოუხდათ. ყაჩაღებმა მამასახლის კვაჭაძეს წაართვეს ხანჯალი, რევოლვერი და 60 მანეთი ფულით. სროლის ხმაზე მთელი სოფელი ფეხზე დადგა.

✦ ამ თვის დამლევს ქუთაისს ჩამოვა თფილისის სამოსამართლო პალატის მეორე სესია. 5 თებერვალს, პალატა გაარჩევს გაზ. „აზრის“ რედაქტორის 2 საქმეს და გაზ. „იმერეთის“ ყოფილ რედაქტორის ბ. ჯაიანის საქმეს, რომელსაც ბროშურის გამოცემა ბრალდებოდა.

✦ ქალაქის საბჭოს მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 19 იანვარს, კრებაზე გასარჩევია ახალი საქმეები.

✦ 12 იანვარს, გელათის ქუჩაზე, აბრამ ფილხაზიშვილს, დავით აჯიაშვილმა მოპარა შემდეგი ნივთები: ოქროს საათი, ვერცხლის ტაშტი, ვერცხლის სათუთუნე, ქალის ოქროს საათი, ვერცხლის ღვედი და სხვა ძვირფასი ნივთები, სულ ღირებული 340 მანეთად.

**ქუთაისის ბაზარი.** გუშინ, ქუთაისის ბაზარზე სოფლიდან შემოტანილი სანოვაგე შემდეგ ფასებში იყიდებოდა: ფქვილი ფუთი—6 აბაზ., ლობიო—7 აბაზ., ხახვი—18 შ., ყველი ჩარექი 10 შ. კვერცხი 12 ცალი—1 აბაზათ.

✦ 19 იანვარს, ოლქის სასამართლო გაარჩევს სერგო ონიანის, პეტრე გეგენიას, ნიკ. ჩაჩიბაიას და სხვების საქმეებს.

✦ 15 იანვარს, ოლქის სასამართლომ გაარჩია გაზ. „აზრის“ რედაქტორის კ. ცერცვაძის საქმე. სასამართლომ იგი დამნაშავეთ იცნო და 4 თვის ციხე მიუსაჯა.

✦ რედაქციამ მიიღო თომა მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემული სახელმძღვანელო წიგნი „საქართველოს ისტორია“ მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის, შესავალი, უძველესი ისტორია, ძველი ისტორია, **ს. გორგაძისა.** წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს 7 შაურათ. ვრცელ განხილვას ამ დღეებში მოვათავსებთ.

# თფილისი.

**ილიასეული მამული.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის მინდობილობით გამგეობის წევრებმა გიორგი ლასხიშვილმა და შიო დედაბრიშვილმა ილიასეულ სახლის შესაძენად არჩეულ კომისიის წევრის ირაკლე რამიშვილის თანადასწრებით 11 იანვარს დაათვალიერეს და ჩაიბარეს თფ. სათავადაზნაურო ბანკისაგან გამოსყიდული ილიასეული მამული, რომელიც მდებარეობს მეათე საპოლიციო უბანში, ანდრეევის ქუჩაზე. ეს მამული შეიცავს 175-ნახ. ოთხკ. საჟენს მთლიანს მიწას და ზედ სდგას ქვიტკირის ერთსართულიანი სახლი, რომელიც შეიცავს 7 ოთახს სამზარეულოთი, საკუჭნაოთი და ორის შინაურ სარდაფით. შენობა ამ ჟამათ ვარაუდით ღირს 4,000 მან., ხოლო მიწა—14,000 მან. მთელი მამული სულ ღირს 18,000 მან. მამულის მიმღებმა კომისიამ წ.-კ. საზოგადოების გამგეობას უკვე წარუდგინა საგანგებო მოხსენება ამ მამულის შესახებ. კომისია სხვათა შორის, აღიარებს, რომ შენობა საკმაოდ მოძველებულია და დიდს შეკეთებას მოითხოვს, განსაკუთრებით უკანა ოთახები; შენობის საფუძვლიანად გადაკეთების პროექტი უკვე შედგენილია ინჟინერ დიასამიძის მიერ და ინახება ილიასეულ მამულის შესაძენად არჩეულ კომისიაში, მაგრამ მისი განხორციელება ახლო შეუძლებელია, ვიდრე არ გადასწყდება, რა დანიშნულება უნდა მიეცეს ამ მამულს. ახლა კი კომისიის აზრით საჭიროა მცირე შეკეთება შენობისა, რომელსაც ამ ჟამად თვეში მხოლოდ 50 მან. ქირა მოაქვს. კომისია გამგეობას წინადადებას აძლევს, აღძრას ახლავე შუამდგომლობა სახაზინო პალატისა და ქალაქის თვით მართველობის წინაშე, რათა ეს მამული, როგორც საქველმოქმედო საზოგადოების კუთვნილება, განთავისუფლებულ იქნეს გადასახადებისაგან. დასასრულ კომისია ურჩევს გამგეობას, რათა ილიას მამულის შესაძენათ არჩეულ კომისიასთან ერთად გადასწყვიტოს: რა დანიშნულება მიეცეს ილიასეულ მამულს.

— გუშინ, 14 იანვარს, თფილისის კახეთის რკინის გზაზე სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა დაიწყო. პირველი მატარებელი, 11 ვაგონით დილის 8 ს. და 47 წუთ. გავიდა ამ მატარებლით წავიდნენ რკინის გზის გამგე ინჟ. მაჭავარიანი, მატარებლების რევიზორი მეგურია, 1 დისტანციის უფროსი უტეშევი და რკინის გზის აგენტები. პირველმა მატარებელმა 300—დე მგზავრი წაიყვანა, რომელთაგანაც 30 კაცმა ნავთლუღის სადგურზე აიღეს ბილეთები, დანარჩენებმა კი თფილისის სადგურზე.

# სამშობლოში.

—:—

რას დაგვჩხავი თავს, ყორანო! აქ წმინდანთა სამარხია,
სხივთა ჩქერში ფეთქს სიცოცხლე ლეშს ვერ ჰპოვებ, არ მარხია.

ხეივანში ყვავილთ მკერდზე სდგას სამსხვერპლო ტბის ნაპირად,
ხორცს იგლეჯენ, ცეცხლის ფრთებზე მამულისთვის შესაწირად.
აქ სიკვდილი—სიცოცხლეა, აქ წამება ტბათ შლის მნათობს,
სხივთა ცრემლი ჰპანს ყვავილებს, სხივთა ლოცვა წყვდიადს აკრთობს.
ბროლის ციხე მარგალიტით თამარ მეფის ნაშენია,
თვით ცოცხალი უკვდავ სახეთ ერის გულში ასვენია.

აქ ვერ გაშლი ფრთებს თამამად, აქ ვერ ჰპოვებ შენთვის ბინას,
გესლის გულ-ღვიძლს გადაახევ სხივთა ჩქერზე ბროლის მინას.
შავს სისხლს მკერდით ამონაწვეთს კვნესათ აშლი, აწყვეტ ნესტარს.
მტვრად იქცევი ბრძოლის მკერდზე დაემსხვრევი ცეცხლის ლახვარს,
ვფიცავ, ვფიცავ ძვლით მოკენჭილს, წითლად ნალებ წმინდა მთა-ბარს,
ვერ შემირყევ მამა-პაპათ სისხლის წვეთზე ნაგებ ტაძარს.

გესმის ტიალს!.. ნუ, ნუ სჩხავი! ლეშს ვერ ჰპოვებ, არ მარხია,
სხივთა ჩქერში ჰფეთქს სიცოცხლე, აქ წმინდანთა სამარხია.

**ლადო მაჭავარიანი.**

# პატარა ფელეტონი.

## წერილი მეგობართან.

ქ. პიატიგორსკს.

**ძვირფასო ნათლია!**

მოგილოცავ ახალ წელს... ღმერთმა მრავალს ამისთანას დაგასწროს.

ჩემსა და ჩემი ოჯახის ამბავს თუ იკითხავ—ღმერთმა ისე კარგი დაგმართოს, კარგათ ჩვენ ვიყოთ და კაი ახალი წელიწადიც ჩვენ გაგვითენდა:

უფალმა იმის ოჯახიააშენოს, ვინც ეს წრევანდელი ომი დაიწყო:

მართალია, ბევრი კი სტირის ახლანდელი ომის გამო, მაგრამ მე და ჩემს მეუღლეს, შენს ნათლიდედას, მწუხარების მაგიერ, სიხარული კარზე მოგვადგა:

არაფერ წელიწადს არ მახსოვს, რომ ჩემს ბარობაზე საშობო-საახალწლოთ ოცდა-ათი მანეთის მეტი გადამერჩენიყოს დღესასწაულებისათვის.

წელს კი ღმერთმა, დიდება მის განგებას, დიდი და ჩვენთვის სიზმრათაც კი წარმოუდგენელი მოწყალება გვიყო:

სამასი მანეთი მოულოდნელად, წმინდა ვასილის წყალობასავით, ხელში მოგვაჩეჩეს. ოჯახის ასაბარგებელ ფულს ეძახიან; ხელიც კი მოგვაწერიეს და პირობა დაგვადებიეს, არამც და არამც ამიერ კავკასიაში შენმა ოჯახმა ამ ფულიდან ერთი კაპეიკი არ შეჭამოსო; ახლავე ცოლშვილი კავკასიის გორას გადაეცილე და, სანამ ომი არ გათავდება, ამიერ კავკასიაში ფეხი არ დაადგმევიოვო.

ხელი კი მოვაწერე, მაგრამ ამასთანავე გულში ეჭვი შემეპარა: მე რომ ავასრულო ასეთი აუსრულებელი პირობა, სხვა ხომ ვერ აასრულებს მეთქი; რაც სხვას დაემართება, ის მე დამემართოს თქო, და რაც ნისიები მქონდა, ყველა გავისტუმრე და რაც გადამრჩა, იმითი კაი დაგემართოს, კაი შობა, ახალწელიწადი და ნათლისღება ჩვენ გავითენეთ.

შენმა ნათლიდედამ კიდევ დაიჟინა და „მუფთა“ და „ბუა“ მაყიდვინა. ნეტამც, შენი კარგა ყოფნით, ზამთრის შესაფერი ყინვები მაინც იყოს: ის კი არა, სიცხით ვიწვით: ტყემალიც კი გამოვიდა.

ახლა თურმე ახალი მოწერილობა მოსულა, უთუოდ უნდა აიბარგოთ ცოლშვილიო.

ჩემს მტერსა და მოსისხარს დასცეს ღმერთმა ისეთი მეხი, როგორიც მე ამ ახალმა განკარგულებამ დამცა:

აქეთ ვეცი, იქით ვეცი, აქიმებთან მივარდი მოწმობის ასაღებათ, რომ ჩემს ცოლშვილს ქუთაისს იქით გაძლება არ შეუძლია. მაგრამ სადაც კი მივედი, ყოველგან თუთხმეტ თუთხმეტი და ოც-ოცი მთხოვნელი იჯდა ყველგან ასეთი მოწმობის საშოვნელათ. შემრცხვა და ამ ხერხს თავი გავანებე.

ახლა ასე ვარჩიე: ავიღე სამგზავრო „უდოსტოვერენიე“ და გიგზავნი, რომ ერთი ჩემი ცოლის მსგავსი დედაკაცი მონახო მანდ და წარუდგინო თქვენს პრისტავს; ოთხიოდე ერთი მეორეზე (თოთხმეტი წლიდან) მომყოლი ბავშვიც ზედ მიაყოლე და განუცხადე, რომ ისინი ჩემი ცოლშვილია.

მაგრამ ამას კი გთხოვ, რომ სიფრთხილით მოიქცე: ვინიცობაა, რომ საქმე გართულდეს და გამოძიება დაიწყონ ამისთანა ოინების, უნდა ვეცადოთ, რომ ხაფანგში არ გავებათ. ამისათვის საჭიროა, ვისაც პრისტავს წარუდგენ, ცოტათი მაინც უნდა გავდეს ჩემს ქალბატონს.

შენ რომ გინახავს, შენი ნათლიდედა ახლა ის აღარაა; ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მისი ახლანდელი ნიშნეულობა ჩამოგითვალო:

საშუალო ტანი დაუდგა; მუცელი ძალზე წინ წამოწეული აქვს, თვალები ჩაცვივნული, კბილები ორი ზეიდან აქვს ჩაყენებული, სამი ქვეიდან; თმას ბარე ხუთი წელიწადი იქნება, რაც იღებავს; პუდრასა და უმარილს ძალზე იყრის.

მართლა, კინაღამ დამავიწყდა: მკერდი როგორც ყოველ ქართველ ინტელიგენტ ქალს, ლეღვის ჩირივით აქვს მიმჭკნარი; ამისთანა მკერდიან ქალს, ცხადია, მაქეთკენ, რუსეთში ვერ იშოვი, მაგრამ, თუ „ТѢЛЕСНЫЙ ОСМОТРЪ“-ი არ იქნა, ე. ი. თუ ტანი არ გაუშინჯეს, ამ ხიფათსაც ადვილად გადავრჩები: გულბოყვს ბამბით ამოივსებს ჩვეულებრივ და საქმე სასურველათ გათავდება.

თუ მიშველა ამ ოინმა, ხომ კარგი და, თუ არა, შენს მტერს ისე წამწარებია ყოველი სიკეთე, როგორც მე ამ ასაბარგებელი ფულების სადღესასწაულოთ დახარჯვა ჩამშხამდეს.

**სტატსკი სოვეტნიკი ქამუშაძე.**

# ომში მოკლული და დაჭრილი ქართველები.

**მოკლულია:** პოდპოლკ. [illegible] ალმასხანის ძე მიქელაძე.

**დაჭრილია:** კაპ. გრიგ. მიხეილის ძე მაჭუტაძე.

**ტყვეთ წაყვანილი:** ალექსანდრე ივან. თვარაძე (წინად გამოცხადებული იყო მოკლულთა შორის).

**ომში დაჭრილი ქართველი ჯარისკაცები.**

**ბაქოში.**

დეკემბრის უკანასკნელ რიცხვში მოყვანილი მიხეილის სახელობის საავადმყოფოში. ჩიგილაშვილი მიხეილ დიომიდეს ძე, თელავის მაზრა, ს. ზემოხოდაშენი, აცივებს. ჩხაიძე სოლომონ ოთარის ძე, გურიიდან, ს. აკეთი. მარცხენა ხელშია დაჭრილი. კუდრიაშვილი ივანე თედოს ძე, დუშეთის მაზრა, კუპრიანკარი. ფეხები აქვს დამზრალი. ლაპიაშვილი გრიგოლი ივანეს ძე, სიღნაღის მაზრა, ს. მირზაანი. დაჭრილია მარცხენა ხელში. მოსულიშვილი ლადო დიმიტრის ძე, სიღნაღის მაზრა, სოფ. ქვემო-მაჩხაანი. დაჭრილია მარცხენა ხელში და წელში. კვანტალიანი სიმონ გრიგოლის ძე, სენაკის მაზრა, ს. სამიქაო. დაჭრილია მარჯვენა ბეჭში. ცომაია ერმილე ალექსანდრეს ძე, სენაკის მაზრა, ს. ნამახვანი. დაჭრილია.

**სომხების კაცთმოყვარე საზოგადოების და ქალაქის პირველ ლაზარეთში.**

გაბროშვილი ალექსანდრე დავითის ძე, სიღნაღის მაზრა, სოფ. ბოდბისხევი. დაჭრილია. ერბაცანაშვილი იოსებ პეტრეს ძე, თფილისის მაზრა, ს. საგარეჯო. დაჭრილია. სურმავა გრიგოლ, ქუთაისის გუბერნია, ნაგვაზოვი. ავათაა. მოსულიშვილი ვლადიმერ დიმიტრის ძე, სიღნაღის მაზრა, ს. ქვემო მაჩხაანი. დაჭრილია. კუბრიაშვილი ივანე თედოს ძე, თფ გუბ. ს. ბარნაბიანთკარი ავათაა. აბრამაშვილი ალექსი გრიგოლის ძე, თფილისის გუბერნია. ს. თეზირი. ავათაა, გულიაძე ფილიპე გიორგის ძე, ქუთაისის გუბერნია. ავათაა. შანავა ივანე გიორგის ძე, ქუთაისის გუბერნია. ავათაა. ზასუხაშვილი [illegible] შამუიას ძე, თფილისის გუბერნია. დაჭრილია. [illegible] სოლომონი გიორგის ძე, თფ. გუბერნია. ავათაა. დაჭრილია. კურნაიძე მარკოზი თედორეს ძე, ქუთაისის გუბერნია. დაჭრილია. ალნიაშვილი ილია გიორგის ძე, თფილისის გუბერნია. ავათაა. კალანდაძე ილია ამბაკოს ძე, ქუთაისის გუბერნია. დაჭრილია. ქობულაშვილი ალექსანდრე. თფილისის გუბერნია. ავათაა. ამესულაშვილი შაქრო. თფილისის გუბერნია. დაჭრილია. მეთეშვილი გრიგოლ იაკობის ძე, თფილ. გუბ. ხაშური. ლანიაშვილი გრიგოლ ივანეს ძე, თფ. გუბერნია. ლანიაშვილი ზაქარია ივანეს ძე, დაჭრილია.

მისამართი: ბაქო. ქართული სკოლა.

**ქ. კიევი.**

აბულაძე აკაკი ირაკლის ძე, ქ. ქუთაისი. ახალაძე ნიკიფორე პეტრეს ძე, ქუთ. მაზრა. ს. ოფირჩხეთი. ბიწაძე სევასტი მიხეილის ძე, შორაპ. მაზ. ბუჩუხაშვილი სვიმონ ივანეს ძე, შორაპ. მაზ. ს. კაცხი. ბუაჩიძე ტერენტი სვიმონის ძე, შორაპ. მაზ. ბინიაშვილი კაკიბე ისაკის ძე, ქ. ქუთაისი. გალდავაძე ისაკ იოსების ძე, ქუთ. გუბ. დომენია პავლე პეჩუნეს ძე (?) სენაკ. მაზ. ვეკუა ემელიან მიხეილის ძე, სოხუმ. ოლქი ს. ნიკოლაი-ანასტასიევკა, ინალიშვილი რაზაბეი ალმასხანის ძე, გუდაუთის ნაწ. ს. კალდახვარა. ირემაძე ტიმოთე ანდრიას ძე, ქ. თფილის. ზერეკაძე გიორგი მიხეილის ძე, ქ. გორი. კაპანაძე არქიპო სპირდონის ძე, დ. ქიათურა. კუნჭულაია დავით ზევარის ძე, ს. ლანჩხუთი. კვირიკაძე ვლასა სიმონის ძე, ს. ბაღდათი. კოკილაშვილი საბა სვიმონის ძე, სიღ. მაზ. ს. ბოდბისხევი. კურულიე (?) მიხეილ თევდორეს ძე, სოხუმ. ოლქი. მენაბდიშვილი ზაქარია გიორგის ძე, გორის მაზ. ს. ბებნისი. სანუკოვაძე პორფილე იოსების ძე, ოზურგ. მაზ. ცხადაია პეტრე პახვალის ძე, ზუგ. მაზ. სოფ. ხობი. შონია სტეფანე სოფრომის ძე, ქუთ. გუბ. შენგელია გუსხად შოთას ძე, ზუგ. მაზ. ს. ჩოგა. შენგელაია ვასილ პიბუს ძე, ზუგდიდ. მაზ. შენგელია თედო პავლეს ზე, ოზურგ. მაზ.

შენგელია ნიკოლოზ პარმენის ძე—ქ. ქუთაისი. შულიაშვილი გიორგი პეტრეს ძე—თფ. მაზ. შარაშაშვილი დათიკო პავლეს ძე შორაპ. მაზ. შარია პლატონ ალექსის ძე სოხუმ. ოლქი. შაროზია ბარნაბა თეიმურაზის ძე ქუთ. გუბ. ჭანტურია ანდრიას კონსტანტინეს ძე სენაკ. მაზ. ჭანტურია ვასილ ნესტორის ძე

ზუგდ. მაზ. ს. ქვალონი. ჯაკონია ალექსანდრე გაბრიელის ძე ქ. ფოთი.

წერილები უმარკოთ გამოიგზავნება დაჭრილებისათვის ამ მისამართით: Кіевъ, Справочное бюро о раненыхъ и больныхъ ამა და ამ კაცს (გვარი, სახელი და მ. მის სახელი ჯარის კაცისა).

დაწვრილებითი ცნობისათვის მოგვმართეთ: Кіевъ, Фундуклеевсвая ул. № 50. кв. 24. Студ. Мирону Топчишвили.

კიევის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების ერთი ჯგუფი.

---

**ქ. ეისკში** (ყუბანის ოლქი).

**საერობო კავშირის ლაზარეთში.**

(ვაჭართა კლუბი).

თურავა, გაბრიელ შირვანის ძე, ს. ხობი ქუთ. გუბ. ჯამანიძე დიმიტრი, ს. ნაავრაჯავი თფილ. გუბ. მაცველია ანდრია ვასილის ძე, ს. კინჩხავი ქუთ. გუბ. ზაქარიაშვილი ივანე დავითის ძე, ს. ფონარეული თფ. გუბ. როვილაძე გიორგი საველის ძე, ს. ხორთა ქუთ. გუბ. ნიშანიძე ალექსი იოსების ძე, შორაპანიდან. როსნაძე ბართლომე სიმონის ძე, ქუთ. გუბ. მევრელიშვილი არტემა ვართანას ძე, ს. ეთხოსის ქუთ. გუბ. ადანაია ივანე ჯამილოს ძე, ს. ხორგა ქუთ. გუბ. ზუგდიდის მაზრა. შარტავა მარკოზი ბეჩუნიას ძე, ს. ზანო ქუთ. გუბ. ლორია ნიკიტა ივანეს ძე, ს. ჩოხატაური ქუთ. გუბ. ოზურგ. მაზ. მცხეთაძე გიორგი კონსტანტინეს ძე, თფ. გუბ. დუიქია ტიტი, ქუთ. გუბ. ბალესაშვილი ილია იოსების ძე, ს. კარდანახი. გოგნიაშვილი, ს. ხაშმი თფ. გუბ. ქელიძე ვასილ ნიკოლოზის ძე, ხ. ჩემალეღე ქუთ. გუბ.

**მისკის რკინის გზის ლაზარეთში.**

ბიბილური ილია შანოვის ძე, დ. სურამიდან. აბრამიშვილი იაკობ გრიგოლის ძე, ს. ტანძია ბორჩალოს მაზ.

**ქალაქის საავადმყოფოში.**

კუხალეიშვილი სარდიონ მიხეილის ძე, ს. ხობი ქუთ. გუბ. ხახუტაშვილი ივანე ლაზარეს ძე, თფ. გუბ. თილავა გიორგი ელიზბარის ძე თფილ. გუბ.

მეტად საჭიროა ქართული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, მით უმეტეს, რომ ეისკში სცხოვრობენ სულ ორიოდე ქართველი და ისინიც აღარ იწერენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. მე მომდის „სახალხო ფურცელი“ და ყველა ნომრები, რომლებიც მე მქონდა, გადავეცი ლაზარეთებში ქართველ ჯარის კაცთ, აგრეთვე რამდენიმე ქართული წიგნიც.

ქართველი დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის კაცნი, მეტად კმაყოფილი არიან ადგილობრივი ლაზარეთების ადმინისტრაციისა, ვინაიდგან ჰხედავენ იმათგან ჩინებულ მოვლას.

ვსთხოვ პატივცემულ საზოგადოებას ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და ყოველივე დახმარება გამოგზავნონ ამ მისამართით: г. Ейскъ (Куб. обл.) Владиміру Михайловичу Давитая, почтов. ящ. № 15.

**ვლ. დავითაია.**

---

# გიორგი ხერხეულიძის ხსოვნას.

საშინელმა საერთაშორისო ომმა შეიწირა მრავალი მსხვერპლი. რომელ ერისთვის არ არის საგრძნობი ესოდენი დანაკლისი, მაგრამ განსაკუთრებით ჩვენთვის, ქართველებისთვის, მეტათ სამძიმოთ რჩება საერთო სამსხვერპლოზე მიტანილი წვლილი.

რამდენმა ქართველმა დალია სული ბრძოლის ველზე, რამდენი ჯანით სავსე ადამიანი მოსწყდა სამშობლო ცას და შთაინთქა ბრძოლის უფსკრულში. მაგრამ საერთო უბედურებას აორკეცებს ისიც, რომ ზოგჯერ დაუნდობელი ტყვია არ ზოგავს ხალხის მოამაგესაც, სპეტაკ ზნეობისა და მაღალი იდეალის ადამიანსაც.

ერთ ასეთ გულსაწვავ და განსაკუთრებულათ საგრძნობ დაკარგვათ ჩვენთვის, ხობელებისთვის, გ. მ. ხერხეულიძის სიკვდილი უნდა ჩაითვალოს. თავადი ხერხეულიძე სამსახურის გამო ზუგდიდში იმყოფებოდა. მთელ თავის სამსახურისგან თავისუფალ დროს ის ანდომებდა საზოგადო საქმეს. მისი ინიციატივით დაარსდა ზუგდიდსა და ხობში სამკითხველო. არამც თუ პიონერობა, განსვენებულმა დაარსების შემდეგაც მრავალჯერ და მრავალ გზით დახმარების აღმოჩენაც იკისრა.

„აი საწყალი, მეუბნებოდა ერთი ხობელი ნაცნობი, როგორ მახსოვს, მე და გიორგი დუქან-დუქან დავრბოდით და სამკითხველოსთვის ფულს ვაგროვებდით“. ხობელებს კარგათ ესმისთ ეს დანაკლისი. 11 იანვარს განსვენებულის სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქნა პანაშვიდი მის მიერვე დაარსებულ სამკითხველოს სადგომში. პანაშვიდის გადახდის შემდეგ მ. მამა ნიკოლ. სასანიამ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც დამსწრეთ განუმარტა გიორგის ღვაწლი სამკითხველოს დაარსებაში და მოუწოდა გიორგის პატივსაცემათ ცდილიყვენ სამკითხველოს საქმის მოწესრიგებას და მის გაფართოებას, რადგანაც „განსვენებულის საუკეთესო პატივისცემა იქნება, სთქვა მამა სასანიამ, თუ ხელს შეუწყობთ მის იდეალის განხორციელებას და მის ნაშრომს არ დავკარგავთ“.

პანაშვიდს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

**ივანე იოსავა.**

---

# დაბა-სოფელი.

**დ. ზესტაფონი.** წარსული 1914 წლის ქრისტეშობისთვის 13-ს დანიშნული იყო ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ზესტაფონის განყოფილების წლიური საზოგადო კრება. გამოცხადდა კრებაზე 16 წევრი, რომელთაც თავჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს მღ. გ. ანთაძე. თავჯდომარის წინადადებით, კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა უხვ ქველმოქმედის, საზოგადოების საპატიო წევრის ახლად გარდაცვალებულის დ. ზუბალაშვილის ხსოვნას. დაიწყეს დღიური წესრიგის განხილვა. პირველად მდივანმა შ. კ. მოდებაძემ წაიკითხა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც არ ეთანხმებოდა გამგეობის მიერ წარდგენილ 1913—1914 წლების ანგარიშს, რის გამოც კრებამ სხდომა შემდეგისათვის გადასდვა. საჭირო იყო სარევიზიო კომისიას ხელმეორედ შეედგინა თვისი მოხსენება.

მეორე კრება შესდგა 20 იმავე თვის რიცხვს კნ. ბ. სპ. ასულის წერეთლის თავჯდომარეობით. ამჟამად ბევრად ნაკლები რიცხვი იყო წევრებისა, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ახალი მოვლენაა ჩვენში. კრებამ დაამტკიცა და მიიღო 1913 და 1914 წ. წ. შესავალ-გასავალი, 1916 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა, კომისიის მოხსენება და ახალი წევრები. კრებამ ამასთანავე განიხილა საკითხი საწევრო გადასახადის თავის დროზე შემოტანისა და წევრების შეძენის შესახებ და დაადგინა შესაფერი ზომები მიიღოს ამ საკითხის მოსაწესრიგებლათ.

დასასრულ კრებამ მადლობა გადაუხადა გამგეობას ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ამავე თვეში დაჭრილ მეომართა დამხმარე საზოგადოების გამგეობამ ნაცვლად ბათომის მხარეში მომქმედ ჯარში გადაყვანილის თავჯდომარის ბ. მანსვეტაშვილისა; რომლის პატივსაცემლადაც ზესტაფონელებმა მოგროვილი 60 მანეთი გადასცეს წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, აირჩია ალ. წერეთელი. გამგეობამ ამასთანავე გააგზავნა თვისი წარმომადგენელი ბ. კ. მოდებაძე და გაატანა საზოგადოებაში მოგროვილი თბილი ტანისამოსი, საცვლები, ხილი, თუთუნი და სხვა ჯარში ქართველ მეომრებისთვის დასარიგებლად, რაიცა კიდეც შესრულდა და გადასცა ხსენებულმა პირმა საჩუქრები პოლკოვნიკ ქვახარიას ხელით.

შორაპნის მაზრის სამმართველოს რეგისტრატორმა, ტომით თათარმა, ყალბი ასიგნოვკით გაიტანა ხაზინიდან 2100 მანეთი ვითომც პოლიციელთა ოჯახებისათვის რუსეთში გადასახიზნავათ და ამ ფულიანათ მიიმალა.

იანვრის 12-ს დღით ოთხმაბათს დაბის ბოლოში მდ. ყვირილაში იპოვეს გვამი მეწაქესი, უცნობისაგან მოკლული და წყალში გადაგდებული.

**კ. გრძელი.**

---

# ქართულ მწიგნობრობის ისტორიიდან

**ქუთაისის მკითხველ საზოგადოებას.**

ასეთი მოჭრილი და გონიერი პასუხით გაუსტუმრებია თფილისის რედაქციების ხელმძღვანელებს კანტორა „იმერეთი“-ს მეგაზეთეები. მაგრამ ლტოლვილთა დაჩემებული ჟინიანობა იქაურ რედაქციების ცივ უარს ვერ მოუკლავს და ჯიბრზე მათ გარეშე პირებისათვის, ვაჭარკონტრანგენტებისათვის მიუმართავთ. ამათში კი სხვებზე უფრო აშკარათ და მეტათ დაინტერესებულია თფილისში ამ ხელობით (მეგაზეთეობით) ცნობილი კონტრაგენტი **ბ. ს. ნასყიდოვი**, რომელიც რკინის გზებზე მთელ რუსეთში ნ-მილი მწიგნობარ-კონტრაგენტის სუვორინის წიგნის შკაფების გამგებლობას ეწევა.

მას სიხარულით მიუღია ჰეიშვილის წინადადება და დღეს იგი გზავნის ქუთაისში გასასყიდათ იქაურ გაზეთებს **„სახალხო ფურცელს“, „კავკაზს“, „კავკასკოე სლოვოს“, „თფილისის ფურცელს“, „ჰორიზონს“, „ხათაბალას“, „ახ ლ აზრს“, „თემს“**, და „ზაკავკასკაია რეჩით“, „თეატრი და ხელოვნებით“, „კლდე“ და სატახტო ჟურნალ-გაზეთებით კი ქუთაისის რკინის გზ.-ს შკაფიდან უწყობს ხელს კანტორა „იმერეთი“ ს მოღალატე მეგაზეთეებს. მას კი ხსენებულ გაზეთების გაყიდვის უფლება ქალაქებში **„ჟურნალ-გაზეთების მგზავნელ ბიუროს“** აგენტების გარეშე არ აქვს. მაგრამ იგი ამ უხეირო და უმგვანო ვაჭრულ საქციელს ვითომ და ადგილობრივ რედაქციების გაუგებლათ, უჩუმარათა და მალულათ ჩადის.

მაგრამ, რაკი ჩემგან გაქცეულ მეგაზეთის საშუალებით **ბ. ნასყიდოვს**, რომელსაც, ეტყობა, ქუთაისი ასე მტკიცეთ ამოუღია მიზანში, შემთხვევა მიეცა აქ თავის ნაძალევათ გამოგზავნილ საქონლისათვის ბაზრის მოპოებისა,—მან არც აცივა, არც აცხელა, იქ—თფილისში, ან აქ ქუთაისში ამ საქმით პირდაპირ დაინტერესებულ პირების შეუკითხავათ გამოუგზავნა და უგზავნის მეგაზეთე ჰეიშვილს ქუთაისში გასაყიდათ გაზეთებს.

ამას ჩადის თფილისელი კონტრაგენტი, ვიმეორებ, **ნაძალევათ ზოგიერთ რედაქციებისა** თითქოს ქუთაისში კანტორა „იმერეთს“ აღარ ყოფნიდა, ან ვეღარ აუდის იმავე გაზეთების მიწოდებას აქაურ მკითხველებისათვის და ამნაირათ ისინი ძალზე დამშეულნი არიან უგაზეთობით!.. ან კიდე დღეს მისგან გამეგობრებულ მგლეჯელ მეგაზეთეებს კანტორა „იმერეთმა“ რომელიმე გაზეთის გასაყიდლათ მიცემაზე უარი უყო. რომ ეს თუ სხვა მეგაზეთეები, ან საერთოთ მწიგნობრობის პროვინციალური პიონერები მოვალეობას პირნათლათ, ამ კულტურულ საქმის შესაფერისად ასრულებდენ, განმანათლებელ ინტელიგენტო პროფესიის, მწიგნობრობის საქმეს სახელს, აბრუს არ უტეხდენ და მით ამ ხელობაში მხოლოდ ამ წმინდა საქმის შეუფერებელ პიონერებს არ ერკვებოდენ!.. ეს თუ სხვა მეგაზეთეები მტაცებლის ინსტიქტებით გამსჭვალულნი, აღზრდილნი და ხელმძღვანელები არ ეწეოდენ ამ წმინდა საქმეს, განა ვინ, რომელი აგენტი იქნება ისე უგნური და იდეურათ დაცემული, რომ მწიგნობრობის, პრესის კეთილ სინიდისიერ ახალგაზდა პიონერებს, გამვრცელებლებს ხელი არ შეუწყოს, გაზეთები, გინდ წიგნები არ მიაწოდოს და ამ კეთილ საქმიანობაში არ დაეხმაროს?!

მაგრამ მაგარი და სავალალოც აქ ისაა, რომ ხსენებულმა და ბევრმა სხვა მათმა წინაპრებმა იმდენათ უდიერათ გათელეს თვით ამ კულტურული საქმიანობის სახელი პირადათ უდიერათ მეპყრობოდენ მეც და ჩემ ამდენიხნის მოწყობილ და ნაწარმოებ საქმეს მათგან ხომ ზნეობრივათაც და ნივთიერათაც დიდი სასჯელი, ზიანი მაქვს გადატანილი და თუ დღემდი მათ წინააღმდეგ არავითარი რეპრესიული ზომები არ მიმიღია, თუმცა მრავალჯერ ამის ღირსნი იყვნენ ისინი—დღეს ისევ კულტურულ საშუალებით გადავწყვიტე ამგვარ „პიონერების“ საქციელის გამოაშკარავება და მისი საქვეყნოთ მსჯავრის დადება.

მოთმინება კაი საქონელიაო, გამოცდილებით უანდერძებიათ ჩვენ ძველებს, მაგრამ ბოლოს ამ მოთმინების ფიალაც აივსო და ეს არის დღეს ნაპირებს გადმოხეთქა...

(შემდეგი იქნება).

**ის. კვიცარიძე.**

---


# მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით).

**ქუთაისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **თფილისიდან** | [illegible] | | | დილით. |
| | 11 ს. | 30 წ. | ღამით. | |
| **ბათომიდან** | 10 ს. | 5 წ. | დილით. | |
| | 2 ს. | 23 წ. | ღამით. | |
| **ფოთიდან** | 10 ს. | 30 წ. | დილით. | |

**ქუთაისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| **თფილისში** | 7 ს. | 55 წ. | დილით. |
| | 1 ს. | 7 წ. | ღამით. |
| **ბათომში** | 10 ს. | 7 წ. | საღამოს |
| | 4 ს. | 27 წ. | დილით. |
| **ფოთში** | 4 ს. | 14 წ. | დღით. |

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

# გ. გ. გიგინეიშვილისა.

1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში.

კ უ რ ს ი ა თ თ ვ ი ა ნ ი ა.

# სწავლის ფული ასი მან.

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე **გ. გ. გიგინეიშვილი.** თ.

---

მ ო ი კ ი თ ხ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

# „ახალი ქართლი“

**გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ**

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ დ ა კ ვ ი რ ა ო ბ ი თ**

**ცალკე ნუმერი ერთი შაური**

| **დაკვეთის ფასი:** | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| | 5 მან. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. | 50 კ. |

ხელის მოწერა მიიღება: „ახალი ქართლი“-ს კანტორაში, სამეფო ქუჩა № 15. თფილისში, ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თფილისელ აგენტთან, ვიქტორ მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.

---

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ**

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე.

ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართელისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით.

**ფ ა ს ი:** წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნის“ წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.

მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба“ Іосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

---

**თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება . . . . . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . , . . 20 „
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . . . 15 „
4) ქართული მოძრავი ანბანი ქაღალდზე . 10 „
„ იგივე, კარდონზე გაკრული . . 25 „
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექტიანი . 50 „
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბობი . . 3 „
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . . . 20 „
7) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . . . . 35 „

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკითხავი წიგნი, შედგ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ, სურათ., მესამე გამოც., ყდით . 85 „
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყებით შკოლებისათვის, ყდით . 20 „
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . . . . . 50 „
4) არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . 30 „
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . . . . . 50 „
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქართ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. . 70 „
7) მისივე. იგივე. ტ. II. . . . 70 „
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი, ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . . . . 20 „
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . . . . 15 „
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყდით . 60 „
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე . 10 „

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.** თ.